

შპს „საქართველოს გაერთიანებული  
სამელიორაციო სისტემების კომპანია“



კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თეზი-ოკამის არხის პკ143+75-  
დან პკ 156+70-მდე ტრაპეციული კვეთისა და პკ142+20-ზე წყალგამშვები  
კვანძის მოწყობის

სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის  
სატენდერო დოკუმენტაცია

**CPV 45247000**

**ტექნიკური დავალება**

თბილისი 2014 წელი

## შესავალი

ობიექტი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის ტერიტორიაზე, დედაქალაქიდან 50 კმ-ზე. უზრუნველყოფილია კარგად განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურით.

მაგისტრალური არხის სიგრძე 33,8 კმ-ია, გადის რთულ რელიეფზე, დასერილია მრავალრიცხოვანი მშრალი ხევებით, რაც განაპირობებს სისტემის მაგისტრალურ და გამანაწილებელ არხებზე დიდი რაოდენობის სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების არსებობას.

თეზი-ოკამის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხიდან მიღებულ წყალზე მუშაობს ოკამი-ჰესი და იგოეთ-ჰესი. აღნიშნული ჰესების საჭიროებისათვის მაგისტრალური არხი მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს, რაც იწვევს არხიდან წყლის მაღალ ფილტრაციას, რიგ ფართობებზე გრუნტის წყლების დონეების აწევას და ფართობების ჭარბტენიანობას. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა სოფელ ოკამის ტერიტორიაზე, სადაც სარწყავი ფართობების გარდა არის მოსახლეობა.

## არსებული და საპროექტო ღონისძიება

მაგისტრალური არხი კკ143+75-დან კკ156+70-მდე მთლიანად წარმოადგენს მიწის არხს, რის გამოც აღნიშნულ მონაკვეთზე ხდება წყლის ფილტრაცია. არხიდან ფილტრაციის თავიდან აცილების მიზნით პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული მონაკვეთის რკინატორკრეტით მოპირკეთებას. არხის კვეთი:  $b=1.8$  მ,  $h=1.6$  მ,  $m=1$ . არხის საპროექტო კვეთის ფორმირება მოხდება მოზიდული ბალასტის ხარისხოვანი ყრილით, მოეწყობა ქვიშა-ხრეშოვანი მომზადება სისქით 10სმ, ხოლო შემდეგ ძირი და ბორდიური მოპირკეთდება სისქით 10 სმ, ფერდები – 8სმ. მოპირკეთებაში გათვალისწინებულია არმატურის ბადე Ø6 A-I უჯრის ზომით 150\*150 მმ, რომელიც დამაგრდება გრუნტში დარტყმით ჩაანკერებულ Ø12 A-III არმატურაზე.

კკ142+20 მონაკვეთზე მოეწყობა მონოლითური ბეტონის ცალმხრივი გამშვები ლითონის ახალი სიღრმული ფართით  $ГC 40X40X240$  და  $D=325$ მმ  $δ=5$ მმ  $ξ=9$ მ ფოლადის მილით.

## ობიექტის დათვალიერება

შესარულებელი სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის დათვალიერება აუცილებელი მოთხოვნაა კონკურსის ყოველი მონაწილისთვის.

თითოეული კონკურსანტი უნდა გაეცნოს შესასრულებელ სამუშაოთა სახეობებს და მოცულობებს, რათა დარწმუნდეს, რომ მის მიერ წარმოდგენილი წინადადების განაკვეთები და ერთეული განფასებები მოიცავს მშენებლობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

**კონტრაქტორი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია:**

მოსამზადებელ პერიოდში, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე, სატენდერო ლოტით განსაზღვრულ ზონაში დააზუსტოს სხვადასხვა კომუნიკაციების ტრასები. სარეაბილიტაციო ქსელსა და მათზე არსებული ნაგებობების საპაერო და მიწისქვეშა კომუნიკაციებით გადაკვეთის წერტილებში სამუშაოთა წარმოების პირობები და სამუშაოთა გრაფიკი შეათანხმოს მათ მფლობელ (ან საექსპლუატაციო) ორგანიზაციასთან. სამშენებლო ორგანიზაცია ვალდებულია, საპაერო და მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთის წერტილებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას, განუხრელად დაიცვას არსებული სამშენებლო ნორმების და წესების აგრეთვე უსაფრთხოების მოთხოვნები.

კონტრაქტორი ორგანიზაცია საკუთარი სახსრებიდან აანაზღაურებს, კომუნიკაციებისთვის მის მიერ მიყენებულ ნებისმიერი სახის ზარალს.